ხელშეკრულება № 208
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2013 წელი.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს" მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
ერთის მხრივ, **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო**, შემდგომში „შემსყიდველი", მისამართი: 0104, საქართველო, ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ.2. საბანკო ანგარიში: ს.ს. „რესპუბლიკა ბანკი" ბანკის კოდი: REPLGE22; ა/ა GE96 BR0000000034083618. წარმოდგენილი - **სააგენტოს უფროსის ლევან ჯურაძის** სახით,
და
მეორეს მხრივ, **შპს „ავტოსერვისცენტრი ალბა"** შემდგომში „მიმწოდებელი", ს/კ 202451667, მისამართი: თბილისი, გუდაუთის N7
ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, 50100000 კოდით განსაზღვრული (სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. კერძოდ „შემსყიდველის" კუთვნილ ავტომანქანის TOYOTA სახელმწიფო ნომრით RPR-135 შეკეთება (მომსახურება), კერძოდ ბამპერის მ/დაყენება, ბამპერის აღდგენა, ბამპერის შეღებვა.

2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს ***180,00 (ასოთხმოცი)*** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.
4.2 გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება: მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისას სამუშაო შესრულებული უნდა იყოს ხარისხიანად.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.
5.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. უანღდო ანგარიშსწორებისას გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).
6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.
6.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
6.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
6.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე

11.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: დ. ბეგიაშვილი (ჯგუფის უფროსი, შესყიდვების კოორდინატორი); ნ. ძაძამიძე (მოადგილე); ზ. გუბელიძე (წევრი).

11.2. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

11.2.1. განახორციელოს კონტროლი მიწოდებული მომსახურების და/ან მისი ნაწილის ხარისხზე და შემოწმების აქტის საფუძველზე დაადგინოს შეესაბამება თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

11.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების მიღება.

11.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

11.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა.

ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი შემსყიდველს

მხარეთა ხელმოწერები

"შემსყიდველი"

საგენტოს უფროსი

_______________ ლ. ჭურაძე

(ბ.ა)

"მიმწოდებელი"

შპს. ,,ავტოსერვისცენტრი ალბა"

____

(ბ.ა)